პოლ ოსტერი

ბაუმგარტნერი

დიდი ქართული
ბიბლიოთეკა

პოლ ოსტერი
ბაუმგარტნერი

Paul Auster
BAUMGARTNER

ინგლისურიდან თარგმნა დავით ახალაძემ

რედაქტორი: თამთა ფარულავა
დამკაბადონებელი: ნინო გურული
ყდის დიზაინერი: გიორგი ბაგრატიონი
გარეკანზე გამოყენებულია მარიამ სინატაშვილის ნახატი

© 2023 by Paul Auster
Portions of this book were first published in
Harper's Magazine and Literary Hub.
All rights reserved.
No part of this book may be reproduced in any form or by any electronic or mechanical means, including information storage and retrieval systems, without permission in writing from the publisher, except by a reviewer, who may quote brief passages in a review. Scanning, uploading, and electronic distribution of this book or the facilitation of such without the permission of the publisher is prohibited. Please purchase only authorized electronic editions, and do not participate in or encourage electronic piracy of copyrighted materials. Your support of the author's rights is appreciated. Any member of educational institutions wishing to photocopy part or all of the work for classroom use, or anthology, should send inquiries to Grove Atlantic, 154 West 14th Street, New York, NY 10011 or permissions@groveatlantic.com.

© გამომცემლობა „დიოგენე", 2025
ყველა უფლება დაცულია.

ISBN 978-9941-11-940-8

www.diogene.ge

1

ბაუმგარტნერი საწერ მაგიდას უზის მეორე სართულზე მოწყობილ სამუშაო ოთახში – ხან კოგიტორიუმს რომ ეძახის, ხან – კაბინეტს და ხანაც – სოროს – და კიერკეგორისადმი მიძღვნილ მონოგრაფიაზე მუშაობს კალამმომარჯვებული. უეცრად მესამე თავის შუამდე მისულს ახსენდება, რომ წიგნი, რომლიდანაც ციტატა უნდა მოიშველიოს, წუხელ სასტუმრო ოთახში დატოვა. წიგნის ამოსატანად ქვემოთ მიმავალს ისიც ახსენდება, რომ ათზე დას უნდა დაურეკოს. თითქმის ათია უკვე და ფიქრობს, სანამ წიგნს ავიღებდე, სამზარეულოში შევივლი და დავრეკავო. სამზარეულოში მძაფრ სუნს გრძნობს. რაღაც იწვის. ქურასთან მიდის და რას ხედავს: სუსტი, მაგრამ ჯიუტი ალი ეს-ესაა ძირს გამოუხვრეტს ალუმინის პატარა ქვაბს, რომელშიც სამი საათის წინ ორი კვერცხი ჩადო „თოხლოდ მოსახარშად“. ბაუმგარტნერი ცეცხლს აქრობს და ქეჩის გარეშე იღებს გავარვარებულ ქვაბს. ქვაბი ყურისწამღები გრუხუნით ენარცხება იატაკს. ბაუმგარტნერი სიმწრის ღმუილით ონკანთან მირბის, წყალს უშვებს და სამი-ოთხი წუთის განმავლობაში იგრილებს ხელს ცივი წყლის ჭავლქვეშ იმ იმედით, რომ თითები და ხელისგული არ დაუწყლულდება.

მერე ფრთხილად იმშრალებს ტილოთი ხელს, თითებს ავარჯიშებს, კიდევ ერთხელ იდებს დამწვარ ადგილას ნოტიო ტილოს და ცდილობს, გაიხსენოს, რისთვის შემოვიდა სამზარეულოში. თუმ-

ცა სანამ გაიხსენებდეს, რომ დასარეკი აქვს, ტელეფონი თვითონ რეკავს. ბაუმგარტნერი ყურმილს იღებს და ჩუმად უპასუხებს. ალბათ, ჩემი დააო – როგორც იქნა, ახსენდება, სამზარეულოში რამ მოიყვანა. უკვე თერთმეტი დაიწყო და ჯერაც არ შეხმიანებია. დარწმუნებულია, რომ ახლა ხაზზე სწორედ მისი ბუზღუნა უმცროსი და ნაომია, რომელიც უთუოდ საყვედურით აავსებს იმისათვის, რომ ისევ დაავიწყდა დარეკვა. მაგრამ დამრეკავი ნაომი კი არა, ვიღაც კაცია – ენის ბორძიკით ებოდიშება დაგვიანებისთვის. სად დაგვიანებისთვისო, ეკითხება ბაუმგარტნერი.

– მრიცხველის ჩვენება უნდა ჩავიწერო, – ეუბნება უცნობი, – ცხრაზე უნდა მოვსულიყავი. ხომ გახსოვთ?

არა, ბაუმგარტნერს არ ახსოვს. არ ახსოვს, ბოლო დღეების ან თუნდაც კვირების განმავლობაში ერთხელ მაინც ეფიქროს იმაზე, რომ დილით, ცხრა საათზე, ელექტროკომპანიიდან ინკასატორი უნდა მოსულიყო. ამშვიდებს – არა უშავს, საღამომდე არ ვაპირებ სახლიდან გასვლასო. მაგრამ ელექტროკომპანიის თანამშრომელი, რომელიც, როგორც ჩანს, ახალგაზრდა, გამოუცდელი და ძალიან თავაზიანია, მაინც არ მშვიდდება და გაცხარებით უხსნის, რომ დაგვიანების მიზეზების ახსნის დრო არ აქვს, მაგრამ ეს მიზეზები უმნიშვნელო და მასზე დამოკიდებული არ ყოფილა... და რომ შეეცდება, რაც შეიძლება, მალე მოვიდეს.

– კარგი, ბატონო, – ეუბნება ბაუმგარტნერი, – გელოდებით.

ყურმილს კიდებს და ყურადღებით ათვალიერებს ყრუდ მტკივან და მფეთქავ დამწვრობას. საბედნიეროდ, კანი მხოლოდ შეწითლებული აქვს – არც დასწყლულებია და არც ექერცლება. არა უშავს, როგორმე გადავიტანო, ფიქრობს და ფიქრითვე მეორე პირში მიმართავს საკუთარ თავს – შე გამოშტერებულო, ჩათვალე, რომ მაგრად გაგიმართლაო.

აუცილებლად უნდა დაასწროს ნაომის დარეკვა, მაგრამ ყურმილს იღებს თუ არა, კაკუნის ხმა ესმის. ბაუმგარტნერი გაბმულად კვნესის, ყურმილს კიდებს და კარისკენ მიმავალი გამწარებით ურტყამს ფეხს იატაკზე დავარდნილ ქვაბს.

თუმცა მყისვე კარგ გუნებაზე დგება, როცა კარს აღებს და მოტანის სერვისის თანამშრომელ მოლის ხედავს. მოლი ისე ხშირად მოდის, რომ უკვე მეგობარი თუ არა, უბრალო ნაცნობზე მეტია – ბოლო ხუთი წელია, კვირაში ორ-სამჯერ მოაქვს ამანათი. საქმე ისაა, რომ თითქმის ათი წლის წინ დაქვრივებული მარტოხელა ბაუმგარტნერი ფარულად გატაცებულია ამ ტანსრული, ოცდაათ წელს გადაცილებული ქალბატონით. ამ ქალის გვარიც კი არ იცის, მაგრამ მის ყოველ დანახვაზე გარდაცვლილი ცოლი, ანა, ახსენდება. მართალია, ანასგან განსხვავებით, მოლი შავკანიანია, მაგრამ მის მზერაში არის რაღაც, კვლავაც და კვლავაც რომ წარმოშობს ამ ასოციაციებს. ყოველთვის ასე ხდება, თუმცა მიზეზის ახსნას ბაუმგარტნერი ვერა და ვერ ახერხებს. შესაძლოა, მიზეზი მოლის უცნაური გაფაციცებაა – ჩვეულებრივი ყურადღებიანობა კი არა, სულ სხვანაირი, სახენათელი გულისხმიერება... ან უბრალოდ პიროვნული ძალა – მთელი თავისი მფეთქავი დიდებულებით – გრძნობისა და აზრის ნაზავად რომ იღვრება ადამიანიდან... რაღაც ამის მსგავსი რამ... თუკი საერთოდ არის ამ სიტყვებში რაიმე აზრი. მაგრამ რაც გინდა იყოს, ის, რაც ანას ჰქონდა, უდავოდ აქვს მოლისაც. ამიტომაც დაიწყო ბაუმგარტნერმა თავისთვის გამოუსადეგარი ლიტერატურის გამოწერა – წიგნებისა, რომლებსაც არც კი გადაშლის და ბოლოს ალბათ ადგილობრივ საჯარო ბიბლიოთეკას უსახსოვრებს. ამის ერთადერთი მიზანი წიგნის მიღებისას მოლისთან რამდენიმე წუთის გატარებაა.

– დილა მშვიდობისა, პროფესორო, – თითქოს ლოცავდეს, ისე ეუბნება სახეგაბრწყინებული მოლი, – კიდევ ერთი წიგნი მოგივიდათ.

– გმადლობ, მოლი, – პასუხად უღიმის ბაუმგარტნერი და თხელ ყავისფერ ამანათს ართმევს, – როგორ გიკითხო?

– ჯერ ძალიან ადრეა ამაზე სალაპარაკოდ, მაგრამ ჯერჯერობით სასიხარულო უფრო მეტი მაქვს, ვიდრე დასამწუხრებელი. ასეთ მშვენიერ დილას ძნელია მოწყენა.

– გაზაფხულის პირველი დარი წლის ყველა დანარჩენ დღეს სჯობია. ვიხაროთ, სანამ შეგვიძლია, მოლი. ვინ იცის, ხვალ რა მოგველის.

– რაც მართალია, მართალია! – შეთქმული თანამზრახველივით უცინის მოლი და, სანამ პროფესორი დროის გასაწელად რამე ჭკვიანურ ან სასაცილო ფრაზას მოიფიქრებდეს, ხელს უქნევს და მანქანისკენ მიემართება.

ბაუმგარტნერს ისიც ძალიან მოსწონს, რომ მოლი ყოველთვის იცინის მის შენიშვნებზე – ყველაზე უფრო სულელურსა და უხეიროებზეც კი.

მოხუცი სამზარეულოში ბრუნდება და ამანათს მაგიდის გვერდით, კუთხეში ახოხოლავებული გაუხსნელი პაკეტების დასტაზე, დებს. ბოლო დროს ეს კოშკი ისე ამაღლდა, რომ კიდევ ერთმა ან ორმა ასეთმა მოყავისფრო შეკვრამ შეიძლება მთელი ნაგებობა ჩამოაქციოს. ბაუმგარტნერი თავს პირობას აძლევს, რომ მოგვიანებით, დღის განმავლობაში, უსათუოდ ამოიღებს ამ წიგნებს კონვერტებიდან და გადაალაგებს ვერანდაზე დახვავებულ ყუთებში, რომლებშიც ბიბლიოთეკისთვის მისაცემი წიგნები აწყვია. „ჰო, ვიცი, ვიცი, – ბუტბუტებს თავისთვის, – ამას მოლის წინა და წინის წინა მოსვლის შემდეგაც ვაპირებდი... მაგრამ ამჯერად არ დავიზარებ“.

და საათს უყურებს. თერთმეტის თხუთმეტი წუთია. უკვე გვიანია, მაგრამ ჯერ კიდევ აქვს დრო, რომ პირველმა დაურეკოს ნაომის და ჩხუბის საბაბი არ მისცეს. ბაუმგარტნერი ტელეფონთან მიდის, მაგრამ ყურმილის აღებას ვერ ასწრებს: პატარა თეთრი აპარატი ისევ რეკავს. ახლა კი ნამდვილად ნაომი იქნებაო, ფიქრობს მოხუცი და ისევ ცდება.

მის სალამს ვიღაც ჩუმი ხმით ეპასუხება:

– მისტერ ბაუმგარტნერ? – ამ სიტყვების მთქმელი ისეთი პატარა და ისეთი შეშინებულია, რომ ბაუმგარტნერსაც შიში იტანს და გული უჩქარდება.

– რომელი ხარ? – ეკითხება.

– როზიტა, – ესმის პასუხი და მაშინვე ვარაუდობს, რომ შეიძლება მისის ფლორესს შეემთხვა რაღაც. ფლორესი პირველად ანას დაკრძალვის შემდეგ მიუვიდა დამლაგებლად და მას მერე კვირაში ორჯერ დადის – უხეხავს, უბერტყავს, ურეცხავს... ერთი სიტყვით,

ბოლო ცხრა-ნახევარი წელია სუფთად ინახავს. კეთილ, სანდო, ჩუმ და გულჩათხრობილ მისის ფლორესს ხელოსანი ქმარი და სამი შვილი ჰყავს. უფროსები ზრდასრული ბიჭები არიან, უმცროსი როზიტა კი თორმეტი წლის გამხდარი, თაფლისფერთვალება გოგონაა, რომელიც ყოველ ჰელოუინზე ადგება კარზე ტკბილეულის შესაგროვებელი ტომრით.

– რა მოხდა, როზიტა? – ეკითხება ბაუმგარტნერი, – დედას ხომ არ შეემთხვა რამე?

– არა, – ეუბნება როზიტა, – მამას.

გოგონას სადაცაა ცრემლი წასკდება და მთელი ძალით ცდილობს ტირილის შეკავებას. ყურმილში მხოლოდ მისი მძიმე სუნთქვა და კრუსუნი ისმის. ფლორესი დღეს უნდა მისულიყო, მაგრამ, როგორც ჩანს, თვითონ ქმართან გაიქცა და, რადგან საზაფხულო არდადეგების გამო როზიტა სკოლაში არ დადიოდა, მისტერ ბაუმგარტნერთან დარეკვა და მდგომარეობის ახსნა მას დაავალა.

მალე გოგონა კრუსუნს უკლებს და ბაუმგარტნერი კიდევ რამდენიმე კითხვას უსვამს – ცდილობს, ნამცეც-ნამცეც შეაკოწიწოს საერთო სურათი ბავშვის უთავბოლო მონათხრობიდან, რომელიც, თავის მხრივ, დედამისის მიერ ვიღაცისგან მოსმენილ ამბავს ეფუძნება. როგორც ირკვევა, მისტერ ფლორესი ამ დილით, ახალი სამზარეულოს აწყობისას, კლიენტის სარდაფში ცირკულარული ხერხით ორდუიმიან ფიცრებს ხერხავდა. ეს საქმე მანამდე ასჯერ კი არა, ალბათ ასიათასჯერ უკეთებია, მაგრამ ამჯერად როგორღაც მოუხერხებია და მარჯვენა ხელზე ორი თითი წაუთლია.

ბაუმგარტნერი ცხადად ხედავს, როგორ ეცემა ორი მოჭრილი თითი ნახერხის გროვაში. ხედავს დასახიჩრებული ხელიდან მოთქრიალე სისხლს. ესმის მისტერ ფლორესის ღრიალი.

ბოლოს ეუბნება:

– ნუ გეშინია, როზიტა. კი, საშინელი ამბავია, მაგრამ ექიმები ასეთ რამეებს ადვილად შველიან. თითებს უკან მიაკერებენ და შემოდგომისთვის, სანამ სკოლა დაგეწყება, შენი მამიკო ბოლომდე გამოკეთდება.

– მართლა?

– კი. პირობას გაძლევ.

გოგონა შეშინებულია. ისედაც დამფრთხალი სახლში მარტო დარჩენის შემდეგ მთლად თავზარდაცემულია. ამიტომაც ბაუმგარტნერი კიდევ ათ წუთს ელაპარაკება და საუბრის ბოლოსკენ მის გაცინებასაც ახერხებს. ეს წამიერი გამხიარულება ყურმილის დადების შემდეგაც დიდხანს რჩება მოხუცს გონებაში, რადგან იცის, რომ ამაზე ღირებულს და მნიშვნელოვანს დღეს ვერაფერს გააკეთებს.

მაგიდის ქვეშიდან სკამს აჩოჩებს, ჯდება, თვალგაშტერებული დასცქერის ყავის ფინჯნისგან დალაქავებულ მაგიდას და დიდხანს ატრიალებს წარმოსახვაში ხელის დასახიჩრების საშინელ სცენას. ანხელ ფლორესმა, ორმოცდარვა წლის გამოცდილმა დურგალმა, ათასჯერ ნაკეთები საქმის კეთებისას წამით ყურადღება მოადუნა და მძიმედ დაშავდა. რატომ? რამ გაუფანტა გონება და რატომ მოეკიდა უგულისყუროდ იმას, რასაც ყურადღებით უნდა კეთება და რაც არავის აპატიებს გაუფრთხილებლობას? იქნებ თანამშრომელმა ჩამოირბინა კიბეზე მოულოდნელად? ან რაღაც აზრმა გაუელვა უეცრად თავში? იქნებ ბუზი დააჯდა ცხვირზე? მუცელში ტკივილმა ხომ არ დაუარა? წინა დღით ზედმეტი ხომ არ დალია ან ცოლს ხომ არ ეჩხუბა სახლიდან გასვლის წინ? უეცრად ბაუმგარტნერი ფიქრობს, რომ ბატონმა ფლორესმა შეიძლება ზუსტად იმ წამს მოიჭრა თითები, როცა თვითონ ცხელი ქვაბით დაიწვა ხელი. რომ თითოეული ადამიანი თავად არის საკუთარი ტანჯვის პირველმიზეზი – მერე რა, რომ ერთის სატანჯველი ზოგჯერ ბევრად დიდია მეორისაზე. მიუხედავად ამისა, ყოველ ცალკეულ შემთხვევაში...

ბაუმგარტნერი აზრს ვერ ასრულებს, რადგან კარზე ისევ ვიღაც აკაკუნებს. „ჯანდაბა, – მოხუცი ზანტად დგება და შემოსასვლელისკენ მიემართება, – ფიქრსაც არ დაგაცლიან კაცს“. კარს აღებს და ხედავს ზღურბლთან აყუდებულ ინკასატორს – ასე ოცი-ოცდაათი წლის მაღალ, ჯანიან ჯეელს ელექტროკომპანიის საფირმო ლურჯი პერანგით, გულის ჯიბეზე დაკრული ფირმის ლოგოტი-

პით და მის ქვემოთ ყვითლად ამოქარგული სახელით: ედი. ედის მზერაში იმედიც იკითხება და სასოწარკვეთაც.

„რა უჩვეულო შეხამებაა," – ფიქრობს ბაუმგარტნერი.

ედი მისალმების ნაცვლად გაუბედავად უღიმის და კიდევ უფრო მკაფიოდ ესახება სახეზე სასოწარკვეთა: თითქოს ეშინოდეს, რომ ცხვირწინ კარს მიუჯახუნებენ. ამ შიშის გასაქარწყლებლად ბაუმგარტნერიც უღიმის და სახლში ეპატიჟება.

– გმადლობთ, მისტერ ბუმ გარდენ, – ეუბნება ახალგაზრდა და სახლში შედის, – დიდ მადლობას მოგახსენებთ.

– ხომ არ აჯობებს, სახელებით მივმართოთ ერთმანეთს, – სთავაზობს ბაუმგარტნერი, რომელიც კი არ გააღიზიანა, პირიქით, ცოტათი გაამხიარულა კიდეც თავისი გვარის დამახინჯებამ, – თქვენი სახელი უკვე ვიცი, ედ. შეეშვით ბატონობით ლაპარაკს და საი დამიძახეთ.

– როგორ? ვაი? – უკვირს ედს, – ეგ რანაირი სახელია?

– ვაი და ვიში კი არა, საი-მეთქი. ს-ა-ი. ეს სეიმურის შემოკლებული ფორმაა. ასე დამარქვეს მშობლებმა. ვაღიარებ, საიც დიდი ვერაფერი სახელია, მაგრამ სეიმურს მაინც სჯობია.

– ესე იგი, თქვენც, არა? – იცინის მრიცხველების კონტროლიორი.

– რა მეც? – ეკითხება ბაუმგარტნერი.

– თქვენც სახელის გამო იტანჯებით, ჩემსავით.

– კი მაგრამ, „ედს" რაღა უჭირს?

– „ედს" არაფერი. მე გვარი მაწვალებს.

– მართლა? რა გვარის ხართ?

– პაპადოპულოსი.

– რას ერჩით? მშვენიერი ბერძნული გვარია.

– საბერძნეთში შეიძლება მშვენიერია. მაგრამ ამერიკაში ყველას სასაცილოდ ეჩვენება. სკოლაში თანაკლასელები დამცინოდნენ; მერე უმცროს ლიგაში პიტჩერი ვიყავი და ჩემი გვარის გამოცხადებაზე მთელი სტადიონი ხარხარებდა. ეს, როგორც იტყვიან... გაკომპლექსებს ადამიანს.

– მაშინ იქნებ გვარი შეგეცვალათ?

– არ შემიძლია. მამას გულს ვერ ვატკენ.

ბაუმგარტნერს თანდათან სწყინდება. ეს უაზრო დიალოგი დროზე თუ არ დაასრულა, ედ პაპადოპულოსი მამამისის ბიოგრაფიას ან უმცროს ლიგაში ასპარეზობის ეპიზოდებსაც მოუყვება. ამიტომაც საი (ანუ სეიმური) მოულოდნელად ცვლის საუბრის თემას:

– ჰოო... იქნებ მრიცხველი გენახათ...

ირკვევა, რომ დღეს ამ ახალგაზრდის პირველი სამუშაო დღეა და რომ ბაუმგარტნერის მრიცხველი პირველია, რომლის ჩვენებაც მან, როგორც Public Service Electric & Gas Company-ის სრულშტატიანმა თანამშრომელმა, უნდა ამოიწეროს. დათქმულ დროს რომ ვერ მოვიდა, მისი ბრალი არაა: ძველმა თანამშრომლებმა გააშაყირეს (პირველივე სამუშაო დღეს!) – ავზიდან ბენზინი ამოუხაპეს და მხოლოდ ნახევარ მილზე სამყოფი საწვავი დაუტოვეს, რის გამოც საბრალო ედის ფურგონს პიკის საათში მანქანებით გადატვირთულ ქუჩაზე ჩაუქრა ძრავა. ედი ბოდიშებს იხდის, ამბობს, რომ ძალიან წუხს ამ უხერხულობის გამო, რომ მის ადგილას გამოცდილი კაცი წამოსვლამდე შეამოწმებდა ბაკში საწვავის დონეს. მაგრამ იმ იდიოტმა ხუმარებმა იმიტომაც გააპამპულეს, რომ გამოუცდელია. ახლა, ალბათ, სეირის საყურებლად ემზადებიან – ერთი სული აქვთ, ნახონ, როგორ შეჯორავს უფროსობა. შეიძლება, გამოსაცდელი ვადაც მისცენ. მეორე მსგავს შეცდომაზე კი, ალბათ, გააგდებენ კიდეც.

ცოტაც და ბაუმგარტნერი ყმუილს დაიწყებს. საიდან გამოტყვრა ეს კუნთმაგარი ყბედი და როგორ უნდა შეაჩეროს კაცმა სიტყვების ეს ნიაღვარი? თუმცა გაბრაზების მიუხედავად, ცოტათი მაინც თანაუგრძნობს. ამიტომაც ღრიალის ნაცვლად, ჩუმად ოხრავს და სარდაფისკენ მიემართება.

– მრიცხველი იქაა, – ეუბნება, – სიღრმეში, კედელზე.

და შუქის ასანთებად ჩამრთველს ხელს აჭერს. სინათლე არ ინთება.

– ჯანდაბა! – ბაუმგარტნერი უკანასკნელ ძალებს იკრებს, რომ ყვირილი არ მორთოს. ალბათ პატარა როზიტაც ზუსტად ასე იკავებდა ცრემლს, – ნათურა გადაიწვებოდა.

– არა უშავს, – ამშვიდებს ედი, – ფარანი მაქვს. სტანდარტულ აღჭურვილობაში შედის... გეცოდინებათ...

– ძალიან კარგი. იმედია, მიაგნებთ უჩემოდ.

– შეიძლება, ვერ მივაგნო, – ამბობს დამწყები ინკასატორი, – თუ არ შეწუხდებით, იქნებ ჩამომყვეთ და მიჩვენოთ. მხოლოდ ამ ერთხელ... ბევრი დრო რომ არ წაგართვათ.

ბაუმგარტნერი ფიქრობს, რომ ედ პაპადოპულოსს სიბნელის ეშინია. ან შესაძლოა, უბრალოდ, სარდაფების შიში აქვს, განსაკუთრებით, ძველი სახლების სარდაფების – კოჭებზე გაბმული აბლაბუდებით, იატაკზე მორბენალი უზარმაზარი ხოჭოებითა და გარშემო დახვავებული ხარახურით. რაღა უნდა ქნას, უხალისოდ მიუძღვება წინ – არადა, დარწმუნებულია, რომ ნამი სწორედ იმ წამს დარეკავს, როცა სარდაფის კიბის ბოლო საფეხურს ჩასცდებიან.

სარდაფის კიბე გასამაგრებელია – ესეც კიდევ ერთი თავსატკივარი, რომლის მოშორებასაც ბაუმგარტნერი უკვე დიდი ხანია, ჰპირდება საკუთარ თავს და ჯერაც არაფერი უღონია. მრავალი წელია, ამ დაპირებას იმეორებს, მაგრამ განზრახვა მანამ არ ახსენდება, სანამ დაბლა ჩასვლა არ უწევს; უკან ამობრუნებულს კი სარდაფის კარის მიხურვისთანავე ავიწყდება ყველაფერი. ბაუმგარტნერი ფრთხილად ეშვება დერეფნის შუქისგან მოფარებულ, მხოლოდ ედის ფარნით განათებულ ჭრიალა საფეხურებზე და ხელის ცეცებით პოულობს სიბნელეში ხის დამსკდარ მოაჯირს. უეცრად ათასი უხილავი ნემსი ერჭობა დამწვარ თითებში – თითქოს ისევ გავარვარებულ რკინას შეეხოო და მაშინვე უკან სწევს ხელს. მარჯვნივ მოაჯირი არაა და მოსაჭიდებელიც არაფერია. ამის მიუხედავად, ბაუმგარტნერი მაინც ბედავს ნაბიჯის ბრმად ჩადგმას – დარწმუნებულია, რომ ამდენი წლის განმავლობაში ზეპირად ისწავლა კიბის თითოეული საფეხური. სულ ტყუილად ჰგონია: ფეხი უცდება, დაბლა მიფრინავს და მუხლითა და იდაყვებით ბეტონის იატაკს ეხეთქება.

და აი, უკვე მეორედ ყვირის ამ დილით ტკივილისგან.

ყვირილი თანდათან კვნესას ემსგავსება. ერთიანად მოკუნტული, ცივ, ნესტიან იატაკზე იკრუნჩხება და ძალაუნებურად ფართხალს იწყებს. მხოლოდ ის იცის, რომ ჯერ კიდევ გონზეა, რადგან თავში ფიქრების კორიანტელი უტრიალებს, არეული, ბუნდოვანი და გაუგებარი ფიქრების, არასრულფასოვანი, ჩამოუყალიბებელი ნახევარაზრების... მკაფიოდ მხოლოდ ერთ რამეს აცნობიერებს: იდაყვები და მუხლი კი დაეჟეჟა, მაგრამ თავი არ სტკივა... თავის ქალა მთელი აქვს და ამ შემთხვევის გამო სანაგვეზე მოსასროლ დორბლიან იდიოტად არ გადაიქცევა. მაგრამ სიტყვებს ვერ იხსენებს, რომ ფარანი გვერდით გააწევინოს ედის, რომელიც თავზე დასდგომია და სახეში ანათებს. რამის თქმის მაგივრად, ისევ კვნესის და თვალებზე ხელს იფარებს. აზრის გამოხატვის ეს უუნარობა, ცოტა არ იყოს, აშფოთებს. აშინებს კიდეც. შეიძლება მისი ტვინი ჯერ კიდევ გაბრუებულია, ან იქნებ სამუდამოდ მოიშალა. ანდა ცოტა ხნით არია იმ აუტანელმა ტკივილმა, კბილებით რომ ჩაჰფრენია სხეულის ყველა ნაწილში (გარდა თავისა) – განსაკუთრებით კი მარჯვენა იდაყვში. თვალები რომ მოიჩრდილა, მკლავი ისე აეწვა, თითქოს დაუშანთესო. ეს ზუსტად ის ხელია, რომელიც წელან დაიწვა და ჯერაც არ დასცხრომია. ალბათ, ხელებით შეარბილა დაცემა. ალბათ, ხელი გაიშვირა, როცა ცემენტის იატაკს ენარცხებოდა. არადა, არც კი იცის, ამდენი როდის მოასწრო.

– ჯანდაბა! – ამბობს ედი, – როგორ ხართ?

ხანგრძლივი პაუზის შემდეგ, ბაუმგარტნერი რამდენიმე სიტყვის თქმას ახერხებს:

– ძნელი სათქმელია.

ბედნიერია, რომ მეტყველების უნარი არ დაუკარგავს, მაგრამ ტკივილის გამო გამარჯვების საზეიმოდ არ სცხელა.

– სხვა თუ არაფერი, ცოცხალი ხომ მაინც ვარ, – განაგრძობს კვნესით, – ჩემი აზრით, ესეც საქმეა.

– რა თქმა უნდა, – ამბობს მრიცხველების ინსპექტორი, – ნამდვილად დიდი საქმეა. ერთი ეს მითხარით, საი, სად გტკივათ?

სანამ ბაუმგარტნერი დაჟეჟილ ადგილებს უჩვენებს, ედი კაი გამოცდილი მწვრთნელივით აფასებს თითოეული კუნთის, მყესისა თუ ძვლის დაშავების ხარისხს. ინვენტარიზაციის დასრულების შემდეგ კი ეკითხება:

– წამოდგომა და კიბეზე ასვლა შეგიძლიათ?

– მოდი, ვცადოთ, – ეუბნება ბაუმგარტნერი, – ახლავე გავიგებთ, შემიძლია თუ – არა.

ჰოდა, ედ პაპადოპულოსი, ხუთი წუთის წინ საიდანღაც მოსული უცხო კაცი, მარცხენა ხელში ფარანს იჭერს და მარჯვენით მოხუცს ფეხზე აყენებს. მერე იმავე ხელს წელზე ხვევს და წვალებწვალებით იწყებს ვიწრო, მორყეულ კიბეზე ასვლას. ბაუმგარტნერი თანდათან რწმუნდება, რომ დაჟეჟილი ადგილებიდან ყველაზე მეტად მუხლი სტკივა. სტკივა ისე ძალიან, რომ ფეხზე ოდნავ დაყრდნობისასაც კი ყვირილი უნდება – გამაყრუებელი ღრიალი, კატის ჩხავილზე უფრო ხმამაღალი. მაგრამ ედის მზრუნველობის მიმართ მადლიერებით აღვსილსა და მის ძლიერ მკლავზე დაყრდნობილს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი, კრინტი არ დაძრას და სტოიკური მდუმარებით გადაიტანოს ყველა სატანჯველი. ამიტომაცაა, რომ მოთმინებით ისმენს ედის ტრავმირების ისტორიას – როგორ გაიწყვიტა მენისკი და როგორ გამოტოვა სეზონის დიდი ნაწილი, რამაც, საბოლოოდ, პიტჩერის კარიერა დაუნგრია; რომ მინდორზე დაბრუნების შემდეგ ბურთს უწინდელივით ძლიერად ვეღარ ისროდა და აღარც „ჩახვეული“ უვარგოდა...

– აი, ასე, – ამბობს ედი, – ადგნენ და ხელი დამიქნიეს, კარგად იყავიო.

ბაუმგარტნერი მაშინაც კი არ ბრაზდება, როცა კიბეზე აღმასვლის ოთხი უსასრულო წუთის განმავლობაში ყოფილი პიტჩერის ლაქლაქის მარწუხებში ემწყვდევა და ისმენს დაუსრულებელ მოთქმას აუხდენელი ოცნებებისა თუ გამოუყენებელი შესაძლებლობების შესახებ. პირიქით, გაზის ინკასატორის სიტყვები მისთვის ტკივილისგან ყურადღების გადატანის სასტიკი, მაგრამ მაინც სასურველი საშუალებაა.

კიბის ავლის შემდეგ ბაუმგარტნერი ედის მხარზე დაყრდნობით სასტუმრო ოთახამდე აღწევს. ედი დივანზე აწვენს და თავქვეშ მოქარგულ ბალიშებს უტენის.

– მუხლზე ყინული უნდა დაიდოთ, – ეუბნება და თვალის დახამხამებაში ქრება ოთახიდან. ბაუმგარტნერი იმის თქმასაც კი ვერ ასწრებს, რომ საყინულე გაფუჭებული აქვს.

სასტუმრო ოთახში კარგად ისმის, როგორ იღება და იხურება საყინულე. რამდენიმე წამში ედი უკან ბრუნდება. შეფიქრიანებული და შეცბუნებულია.

– ყინული არ არის, – პატარა ბავშვს ჰგავს, ახლახან რომ გაუმხილეს თოვლის ბაბუას არარსებობა... ან კიდევ ცნობისმოყვარე მოზარდს, რომელმაც აღმოაჩინა, რომ ღმერთი არ არსებობს... ანდა მომაკვდავს, რომელიც მიხვდა, რომ ხვალინდელი დღე აღარ გაუთენდება.

– არა უშავს, – ამშვიდებს ბაუმგარტნერი, – ისედაც არაფერი მიჭირს.

– დარწმუნებული არ ვარ, – ამბობს ინკასატორი, – მაინც დაშავებული ხართ, საი. თმა ყალყზე გიდგათ, შარვალი დაგთხვრიათ. მგონი, აჯობებს, საავადმყოფოში წავიდეთ და რენტგენი გადავიღოთ. უბრალოდ დავრწმუნდეთ, რომ საღი გაქვთ ძვლები.

– ეგეთები არ იყოს, – თავს აქნევს ბაუმგარტნერი, – არავითარი საავადმყოფო, არავითარი რენტგენი. ცოტა დასვენება მინდა და ძალების მოკრება, მეტი არაფერი. მალე ავდგები.

– როგორც გენებოთ, – ეუბნება ედი და ყურადღებით ათვალიერებს. თავში ერთი აზრი მოსდის, – მაშინ წყალს მაინც მოგიტანთ, კარგი?

– დიდი მადლობა. ჭიქა წყალი არ მაწყენდა.

ედის წყალი მოაქვს და სანამ ბაუმგარტნერი ჭიქას დაცლიდეს, წინ უჯდება ისე ახლოს, რომ სახით თითქმის სახეზე ეხება და ეკითხება:

– მითხარით, საი, ახლა რომელი წელია?

ბაუმგარტნერი ადგილზე ქვავდება, პირში ჩაგუბებულ წყალს ყლაპავს და ეუბნება:

– ეგ რა შეკითხვაა?

– უბრალოდ ამყევით თამაშში, საი. რომელი წელია ახლა?

– მოდი, დავფიქრდეთ... თუ გამოვრიცხავთ 1906 და 1687 წლებს, ასევე 1777-სა და 1944-საც, მაშინ 2018 წელი უნდა იყოს. გამოვიცანი?

ედს ეღიმება და ამბობს:

– ზუსტად გაარტყით.

– კმაყოფილი ხართ?

– კიდევ ორი-სამი კითხვა... ისე, გასართობად.

ბაუმგარტნერი ღრმად ოხრავს – ვერ გადაუწყვეტია, ცხვირში მისცხოს ედს, თუ განაგრძოს ეს უცნაური თამაში. თვალებს ხუჭავს და ფიქრობს, რომელ გზას დაადგეს – ჯუჯღუნა ბერიკაცის როლი მოირგოს თუ იდუმალებით მოცული ბრძენკაცის.

ბოლოს ეუბნება:

– კარგი, ექიმო. დამისვით მომდევნო კითხვა.

– სად ვიმყოფებით?

– აქ, რა თქმა უნდა, სადაც ყოველთვის ვართ ხოლმე. თითოეულ ჩვენგანს საკუთარი „აქ“ აქვს და დაბადებიდან სიკვდილამდე მასშია გამომწყვდეული.

– მართალი ბრძანდებით, მაგრამ მე უფრო ქალაქის სახელი მაინტერესებს. სად ვართ რუკაზე?

– აა, მაშინ პრინსტონში ვართ. ხომ ასეა? ნიუ-ჯერსის შტატის პრინსტონში, თუ ზუსტად გაინტერესებს. ლამაზი, მაგრამ მოსაწყენი ადგილია... ჩემი აზრით... თუმცა ეს მხოლოდ ჩემი თვალსაზრისია. თქვენ რას ფიქრობთ?

– არ ვიცი. აქ ადრე არასდროს ვყოფილვარ. ალბათ, ცუდი არ უნდა იყოს. თუმცა აქ არ ვცხოვრობ და დანამდვილებით ვერაფერს ვიტყვი.

ბაუმგარტნერს უნდა, ცოტა გააშაყიროს, მაგრამ თავს ვერ აიძულებს. ახალგაზრდა კაცის კეთილი ნება ისეთი ძლიერია, რომ ადვილად ახშობს მისი გამასხარავების სურვილს. ამიტომაც გამოკითხვა მალე მთავრდება და მრიცხველების კონტროლიორიც

რწმუნდება, რომ პაციენტს ტვინის შერყევა ან სიცოცხლისთვის საფრთხის შემცველი სხვა სიმპტომები არ აქვს. ბაუმგარტნერი ეუბნება – ისედაც ბევრი დრო წაგართვით და შემოვლა გააგრძელეთ, რადგან დღეს კიდევ ბევრი მრიცხველის ჩვენება გექნებათ ასაღებიო. ამის გაგონებაზე ედს ახსენდება, რომ მთელ ამ ალიაქოთში მრიცხველის ნახვა სულ გადაავიწყდა. ის ფარანს ხელს სტაცებს და სწრაფად გადის ოთახიდან, რომ ბოლოს და ბოლოს შეასრულოს თავისი მთავარი მოვალეობა.

ბაუმგარტნერი სარდაფის კიბეზე ჩამავალი ედის ფეხის ხმას უსმენს და გარემოებების იმ უცნაურ წყებაზე ფიქრობს, რომელთა წყალობითაც, დაბეგვილი იდაყვებითა და გასივებული მუხლით ტახტზე გაშოტილა. ამ შემთხვევამ შეიძლება რამდენიმე კვირით ან სამუდამოდაც კი დააკოჭლოს.

„ახლა ამას აღარაფერი ეშველება, – ეუბნება საკუთარ თავს და უეცრად ბატონი ფლორესი და თითების წათლის შემზარავი ამბავი ახსენდება, – ალბათ საშინელებაა იმის დანახვა, რომ დასახიჩრდი... და იმის ცოდნაც, რომ ეს მხოლოდ და მხოლოდ შენი ბრალია“.

კი გაუგონია, რომ ექიმები უმეტესად ახერხებენ მოჭრილი თითების უკან მიკერებას და გაცოცხლებას. მაგრამ ბაუმგარტნერი ერთ კაცსაც არ იცნობს, ვისაც პირადად გამოუცდია ასეთი სასწაული. ამიტომ მხოლოდ იმედიღა დარჩენია, რომ არ შემცდარა, როცა როზიტას მამის გამოჯანმრთელება უწინასწარმეტყველა. ბავშვების მოტყუება ხომ არ შეიძლება. არასოდეს. არანაირ ვითარებაში. მაშინაც კი, როცა საქმე უფროსებს ეხება და ამ წესის დარღვევა, ერთი შეხედვით, მისაღებია.

ამ წუთებში ბაუმგარტნერს სრულიად გადავიწყებული აქვს კიერკეგორისადმი მიძღვნილი თხზულება და წიგნი, რომელიც დაუმთავრებელი წინადადების დასასრულებლად მეორე სართულზე უნდა აეტანა. მას აღარც დასთან დარეკვა ახსოვს და აღარც ის, რომ საერთოდ ჰყავს და, რადგან ძალიან დიდი დრო გავიდა იმის შემდეგ, რაც ასეთი რამეები მნიშვნელოვნად და გადაუდებლად ეჩვენებოდა

– იმდენი დრო, რომ ეს წვრილმანები შეიძლება სულ სხვა ადამიანის ცხოვრების ნაწილი ყოფილიყო. ამ წუთისთვის ის მხოლოდ ისვენებს და ედის ელოდება, რომ სიკეთისთვის მადლობა გადაუხადოს და გაისტუმროს. პროფესორი თვალებს ხუჭავს. მომდევნო ერთი თუ ორი წუთის განმავლობაში მისი გონება საფიქრალიდან საფიქრალზე დახტის შეუსვენებლად. მაგრამ მერე ფიქრებიც ქრება და აზრებს ხილვებისა და სიზმრების წყება ცვლის. უმეტესობაში, ცხადია, ანა მონაწილეობს. იქ ის ახალგაზრდაა – ხან უღიმის, ხანაც შუბლს იჭმუხნის, ხან შუა ოთახში ტრიალებს, ხანაც სავარძელზე ზის, ან თითის წვერებზე დგას და ხელებს ჭერისკენ იშვერს...

ბაუმგარტნერი იღვიძებს და ოთახში შემოსულ მზის შუქს ხედავს – იმის უტყუარ მანიშნებელს, რომ კაი დრო გასულა. ვარაუდობს, რომ თორმეტი-თხუთმეტი წუთი უნდა გასულიყო, მაგრამ საათი უჩვენებს, რომ ორმოცდახუთი წუთი, ან სულაც საათი ეძინა. მერე იქვე, მაგიდაზე, წიგნების დასტაზე, შემოდებული ბარათი ხვდება თვალში. ხელი უნდა გაიშვიროს და წერილს თითის წვერებით დასწვდეს... ანუ უნდა მოსინჯოს, როგორ აქვს იდაყვი. აბა, შენ იციო, თავს იმხნევებს და ხელს წერილისკენ იწვდის. იდაყვი სტკივა, მაგრამ არც ისე ძალიან.

„ძვირფასო საი, სარდაფიდან რომ ამოვედი, გეძინათ და აღარ გაგაღვიძეთ. სამსახურის მერე მაღაზიაში შევივლი და ყინულს გიყიდით, მუხლზე გეამებათ და შესივებასაც დააცხრობს. ახალ ნათურასაც მოგიტანთ სარდაფისთვის. ექვსიდან შვიდის ნახევრამდე მოვალ. ღრმა პატივისცემით, ედ პაპადოპულოსი“.

„საოცარია, – ფიქრობს ბაუმგარტნერი, – უცხო ადამიანი თავს ასე რომ იწუხებს შენთვის. ნაძირალებითა და ეგოისტი პირუტყვებით სავსე სამყაროში ეს გულალალი და გულუბრყვილო კაცი მფარველ ანგელოზად მომევლინა... კი, ყინული ნამდვილად დამიცხრობს ფეხს. მუხლი მთლიანად შეშუპდა და გაბუჟბუჟდა სისხლით... თუ, რა ვიცი, რაც გროვდება დაჟეჟილ ქსოვილში“.

ბაუმგარტნერი ფიქრობს, რომ აუცილებლად უნდა დაურეკოს ედის უფროსს და გულისხმიერებისთვის შეუქოს ახალი თანამშრომელი.

ტელეფონის ერთადერთი აპარატი სამზარეულოშია. ბაუმგარტნერმა როგორმე უნდა მიაღწიოს იქამდე – მით უფრო, რომ შია კიდეც და დარეკვა იქით იყოს და, სადილიც ხომ უნდა მოიმზადოს.

ტახტიდან ჩამოხოხება, როგორც ეგონა, ისე არ გასძნელებია, მაგრამ ფეხზე დგომა ნამდვილ ტანჯვად ეჩვენება. ტანჯვაა მარჯვენა ფეხის წინ წადგმაც, განსაკუთრებით მაშინ, როცა ტერფს იატაკზე დგამს. ოხვრა და კვნესა, თითქოს შველის, ოღონდ – ცოტათი. ოთახის ასკინკილით გავლა საუკეთესო გამოსავალი იქნებოდა, მაგრამ წონასწორობის დაკარგვისა და წაქცევის ეშინია. კი, ახალგაზრდობაში შესანიშნავ სპორტსმენად ითვლებოდა; კი, სკოლაშიც ერთ-ერთი საუკეთესო იყო, მაგრამ მას მერე ძალიან დიდი დრო გავიდა... კარგად რომ დაფიქრდე, მთელი ცხოვრებაც კი... არადა, ოდესღაც მარჯვენა ხელს მარცხენა ტერფს ჩასჭიდებდა ხოლმე და მარჯვენა ფეხით ახტებოდა. ამ „გმირობას“ მეგობრები მოწიწებით შესცქეროდნენ, გოგონებს კი სუნთქვა ეკვროდათ, რადგან ბაუმგარტნერის გარდა ასეთი უცნაური და უაზრო ილეთის გაკეთება არავის შეეძლო. ახლა კი... ახლა ისღა დარჩენია, ხვნეშითა და კრუსუნით, ფრთხილი ნაბიჯით მიჩანჩალდეს სამზარეულომდე და ილოცოს, რომ ზღართანი არსად მოადინოს.

ცოტაც და დაეცემა, მაგრამ როგორღაც ინარჩუნებს წონასწორობას; ცოტაც და დამარცხდება... მაგრამ არ მარცხდება. ფინიშის ხაზის გადაკვეთის შემდეგ ისეთი ქანცგაცლილია, რომ მოწყვეტით ეშვება მაგიდასთან მიდგმულ ერთ-ერთ სკამზე. ალბათ ზედმეტია იმის თქმა, რომ ეს სკამი ყველაზე ახლოსაა შემოსასვლელთან. გარდა ამისა, ეს ერთადერთი სკამია, რომლიდანაც კაცს ფანჯარაში გახედვა და უკანა ეზოს დანახვა – ხოლო ცოტათი კისერსაც თუ მოატრიალებს, მთელი ოთახის მოთვალიერებაც შეუძლია. ბაუმგარტნერი მძიმედ სუნთქავს. გავლილმა გზამ ძალიან დაღალა და გააწვალა. იცის, რომ კიდევ დიდი დრო გავა, სანამ ისევ შეძლებს ადგომას და სკამიდან კარადამდე მიჩანჩალებას, იქიდან კი მაცივრამდე, ქურამდე და კედლის ტელეფონამდე მიღწევას. ჰოდა, უბრალოდ ზის ტკივილისა და დაღლილობის ბურუსში გახვეული